თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2660521

ნომერი: AR1409883

თარიღი : 01.06.2016

გაცემის თარიღი : 21.06.2016

გაცნობის თარიღი : 21.06.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 29 , (ნაკვ.12/19) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ამირან ნიკოლეიშვილი პ/ნ 01007000255
- წერეთლის 77 ბ.59

ორგანიზაცია:

- შპს სითი სთარ კოდი: 401960605

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 25 მაისის #2615076 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 01 ივნისს #AR1409883 განცხადებით მომართა ამირან ნიკოლეიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016 წლის 25 მაისის #2615076 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მშენებლობის ვადის მითითების ნაწილში.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 25 მაისის #2615076 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ი. ჭავჭავაძის გამზირი, #29, (ნაკვ. #12/19), კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: #01.14.14.012.019) მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 25 მაისიდან 2017 წლის 25 მაისის ჩათვლით.

საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი წარმოდგენილი იქნა 12 (თორმეტ) თვეზე და სამსახურის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში შეცდომით იქნა დაფიქსირებული მშენებლობის ვადა, კერძოდ: „მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2016 წლის 25 მაისიდან 2017 წლის 25 მაისის ჩათვლით" ნაცვლად მიეთითა „მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2016 წლის 25 მაისიდან 2016 წლის 25 მაისის ჩათვლით".

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლების მოთხოვნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 25 მაისის #2615076 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 25 მაისის #2615076 ბრძანებაში, კერძოდ: ბრძანების მე–3 პუნქტში დაფიქსირდეს შემდეგი ჩანაწერი: „მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2016 წლის 25 მაისიდან 2017 წლის 25 მაისის ჩათვლით“;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 25 მაისის #2615076 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა #7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.